1 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

2023 შაბათი

ეზ 37,21-28; იერ 31,10-13; იო 11,45-56

იესო ერისთვის თუნდა მომკვდარიყო იო 11,51

გეთაყვანებით და გმადლობთ, უფალო იესო, შენი სიკვდილით გამოისყიდე წუთისოფელი. შენ ჩემთვის და ყველასთვის მოკვდი. ეს არის მიზეზი ყოველი კაცის სიყვარულისა, განურჩევლად ყველასი. შენ უწყოდი, რომ "უნდა" მომკვდარიყავი, რამეთუ შენი სიკვდილი შთანთქავდა ჩვენს სიკვდილს და თავისუფლებას ვეზიარებოთ, რათა გვეცხოვრა შენი აღმდგარი ცხოვრებით.

2 აპრილი

ბზობის კვირადღე, «ა», [II], ნ

2023 ვვირა

მთ 21,1-11; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11;
ვნება: მთ 27,14 27,66

ტაძრის დამანგრეველო....
იხსენი შენი თავი მთ 27,40

დღეს იესოს წინაშე ვგალობთ – 'ოსანა!', იმ იესოს წინაშე, ვინც ვირზე მჯდომარე შედის იერუსალიმში. არ გვსურს ხალხის მეთაურთა გმობა გავიმეოროთ. იესო საკუთარ თავს როდი იხსნის, თავისი სიკვდილით მას ჩვენი გადარჩენა სწადია. ჩვენ თაყვანს ვცემთ ჯვარცმულ იესოს და მთელ ჩვენს სიყვარულს ვუძღვნით.

3 აპრილი

დიდი ორშაბათი [II], ი

2023

ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

დაანებე თავი, მან ჩემი დამარხვის
დღისთვის გადაინახა იო 12,7

წმიდა კვირის დასაწყისში, იესოსთვის შესრულებულ სათნო საქმეზე ვფიქრობთ. მხოლოდ მას ესმის ჩვენი ქმედება და მას ღვთის წინასწარმეტყველებად იღებს. სხვანი კი ფუჭად და უნაყოფოდ თვლიან. უფალი იწონებს იმ თავღია ვაზას, რომელიც საამო სურნელს ჰფენს მის სამარხს, თითქოს საქორწინო ოთახი ყოფილიყოს, სადაც სიყვარულის სილამაზე იღვენთება.

4 აპრილი

2023

დიდი სამშაბათი [II], I

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკდ. მოძ. +636

სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

ერთი თქვენგანი გამცემს მე იო 13,21

ეს იესოს მიერ არჩეული საყვარელი მოწაფეა: სწორედ ის გასცემს მას. მეტი სიფრთხილე გვმართებს ამ ფაქტის მიმართ: დღეს, წელს, მეც შეიძლება ვიყო ის "ერთი თქვენგანი". თავმდაბ-ლად ვცხოვრობ და ვცდილობ პატიება ვითხოვო.

5 აპრილი

2023

დიდი ოთხშაბათი, [II], I
წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

წმ. ბიკენტი ფეხეხი, ხუცესი, +1419

ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

ემებდა მარჯვე შემთხვევას,
რომ გაეცა იგი მთ 26,16

მესამე დღეა, რაც გვაშფოთებს იუდას ღალატი. მას ფულის სიყვარული ამოძრავებდა. იქ, სადაც მამონია, ადამიანების და ღმერთის ადგილი არაა; ასე ყიდიან და ყიდულობენ იესოს, ღმერთსა და კაცს... ის კი უცხოა ამ გარიგებებთან, რამეთუ ყველას თავისუფალს გულს უძღვნის.

6 აპრილი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

2023

ხუთშაბათი

ეს 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ იო 13,15

„ბოლომდე“ გვიყვარს იესო, იგი გასაოცარ სიყვარულს გვაგემებს და მსგავს საქმეში გვაგულიანებს. მეც შევძლებ იგივე სიყვარულის გამოხატვას, მოყვასთა განწმენდას, მათგან დახმარების მიღებას. მისი ხორცითა და სისხლით ვიცხოვრებ, მას შევუერთდები!

7 აპრილი

2023

წითელი პარასკევი, [ს], წ

წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც. +1719, (მ)

პარასკევი

ეს 52,13 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყოს მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

თავად მოიკიდა ჯვარი და გავიდა თხემის ადგილზე, რომელსაც... გოლგოთა ქვია

იო 19,17

არც რა გოდება აღმოხდა იესოს ბაგეს და გულს, უფალო ჩემო. გზაზე დედაკაცებს ხვდება, სიმონ კვირინელის შემწეობას იღებს, მიწაზე ეცემა და ეამბორება, რათა ყოველ ჩემს გადადგმულ ნაბიჯს თან სდევდეს მისი მაცხოვნებელი სიყვარული.

8 აპრილი

2023

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

შაბათი

თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს ებრ 4,16

სამარხში ჩაკეტილი იესო მოლოდინ-
შია. სწორედ მიცვალებულთა სამარხზე
იხილავენ მას და საბოლოო სიხარულს
აქ ეზიარებიან. იგი უტყვად არის, მაგრამ
მათი ბაგეები იხსნება საგალობლად.
რას ვაკეთებ მე? მასავით გარინდული
ვარ სიჩუმეში, თუ ვცდილობ მათ გალო-
ბას შევუერთდე?

9 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა, «ა», დდ, [ს], თ

2023 ორშაბათი

საქ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან 1კორ 5,6-8;
იო 20,1-9 ან ლკ 24,13-35

ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

თავად იესო მიუახლოვდა ლკ 24,15

სახარების ეს ფრაზა მწუხრის წირვაზე გაიჟღერებს: იესო ორ მოწაფეს ემგზავრება ემაუსისკენ მიმავალ გზაზე. ისინი იერუსალიმს ტოვებენ. ვერ ცნობენ უფალს, ვინაიდან იგი აღდგარია, ანუ მათთვის უცნობი ცხოვრებით ცხოვრობს. მადლობა იესო, რამეთუ ბევრჯერ ყოფილხარ ჩემს სიახლოვეს სასოწარკვეთის წუთებში და ვერ შეგიცანი.

აწ, მეც შემიძლია ვიგალობო ალილუია!

10 აპრილი

2023

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ორშაბათი

საქ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

და გაიქცნენ, რომ ეცნობებინათ
მისი მოწაფეებისთვის მთ 28,8

გაქცეული დედაკაცების სურათი, არაა ჩვეულებრივ რამ. უდაოდ განუზომელი უნდა იყოს მათი სიხარული! ისეთი გაუგონარი ამბავი აქვთ საუწყებელი, რომ უნდა გაიქცნენ. თუმცა, ამბავი იმდენად გაუგონარია, არავინ დაიჯერებს. ნუთუ არ ძალუძთ ადამიანებს გაუგონარი ამბების დაჯერება?

11 აპრილი

2023

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

წმ. სტანისლავი, ეპ. და წამ., +1079

სამშაბათი

საქ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

ჩემი უფალი წაიღეს... იო 20,13

სიმართლედ ჟღერს მარიამ მაგდალე-
ლის სიტყვები. დიახ, იესოს სხეული იქ
აღარ არის, თუმცა მართალი არაა, რომ
ვიღაცამ წაიღო. სიფრთხილე მმართე-
ბს საუბრისას, რათა ამაოდ არ დავდო
ბრალი სხვას.

12 აპრილი

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2023

ოთხშაბათი

საქ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

თუგუნთურნო და გულით მძიმენო,
ყველათფრის... სარწმუნებლად ლკ 24,25

ეს სიტყვები მათ თავიანთი თანამგზავრის მხრიდან მოისმინეს. ისინი ნამდვილად უგუნურნი არიან: ვერ გაუაზრებიათ წინასწარმეტყველთა სიტყვები და ვერც უფლის მიერ წარმოთქმული, ვის სიკვდილსაც ასე მისტირიან. ის კი ეუბნებოდა მათ, რომ მესამე დღეს აღდგებოდა.

13 აპრილი

2023

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ
წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, +655

ხუთშაბათი

საქ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

თქვენ კი ამის მოწმენი ხართ ლკ 24,48

იესო თავის მიმდევრებს მიუბრუნდა: ახალ დავალებას იღებენ. სწორედ ისინი მოუთხრობენ მთელ წუთისოფელს ყოველივეს, რაც იხილეს და მოისმინეს, ანუ აუწყებენ მის სიკვდილსა და აღდგომას. ამ გზით დაეხმარებიან ხალხს რწმენად მოქცევაში და პატიების მიღებაში.

14 აპრილი 2023

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ
(1.IV) წმ. ღირსი იოანე შავთელი, XI-XIIსს

პარასკევი

საქ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

ვერ ერთმა ვერ გაბედა ეკითხა,
ვინ ხარო? იო 21,12

იესომ ისინი საჭმელად მიიპატიჟა. იგი იქ იყო, მაგრამ არ იცოდნენ: ვერც იცნეს თვალებით და ვერც ყურებით. მხოლოდ სხვა გზით თუ შეიცნობ იესოს: გულით!

15 აპრილი

2023

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ
(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი, IX-Xს

შ ა ბ ა თ ი

საქ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

როცა მოისმინეს, რომ ცოცხალია...
არ ირწმუნეს მარ 16,11

მარიამ მაგდალელმა შეისმინა. აჰა, იგი ურწმუნო მოციქულთა წინაშე დგას. როგორ უნდა ირწმუნონ ასეთი მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი? მეც, მხოლოდ მაშინ ვირწმუნე, როცა თავად იესო შეეხო ჩემს გულს.

16 აპრილი 2023

პასექის II კვირადღე, (ღმრთაებრივი გულმოწყალებისა)«ა», [ს], თ

ჯვირა

საქ 2,42-47; ფს 117; 1პეტ 1,3-9; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა
აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ
და მირწმუნეს იო 20,29

გმადლობთ, იესო! შენ მეც ნეტარად
მაცხადებ, რამეთუ არ მიხილავს აღმდ-
გარი და მაინც მიყვარხარ, მაინც გელა-
პარაკები. არა, ეს შენ მელაპარაკები
შენი სიჩუმით. მართლაც, ნეტარი ვარ
და ღმერთთან ახლოს ვარ. ჭეშმარიტად
ღვთიურია ჩემდამი და ყოველი კაცისა-
დმი გაღებული შენი წყალობა!

17 აპრილი

2023

პასექის II კვირა [II], თ

ორშაბათი

საქ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებლურ ეკლესიაში

ვინცა წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში იო 3,5

იესო ნიკოდემოსს ესაუბრება, ანუ ერთ-ერთ მათგანს, რომლებიც თავს სამართლიანად მიიჩნევენ ღვთის სამეფოს წევრებად. თუმცა, მასში რომ შევიდნენ, ახალი სიცოცხლეს უნდა ჰქონდეთ, მდაბალი სულით მოინათლონ და სულიწმიდას ეზიარონ. სამეფო ხომ ღმერთის მორჩილი ხალხისგან შედგება.

18 აპრილი

2023

პასექის II კვირა [II], თ

სამშაბათი

საქ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

ფუნდა ამაღლდეს ძე კაცისა იო 3,14

ამ ჭეშმარიტებას იესო ნიკოდემოსს გაანდობს. ადამიანებს ისევე სჭირდებათ ხსნა, როგორც უდაბნოში გველთაგან დაგესლილ ებრაელებს. მაშინ თვალებს აღაპყრობდნენ ბრინჯაოს გველზე, დღეს კი მასზე აღაპყრობენ მოსიყვარულე მზერას, ვინც ამბობს: „მე ჭია ვარ და არა კაცი“. ის, ვინც ასე მოიქცევა თავმდაბლობით, ცოდვათაგან განიწმინდება.

19 აპრილი

2023

პასექის II კვირა [II], თ

ოთხშაბათი

საქ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე იო 3,16

ამაზე ლამაზ ამბავს ვერავინ გაგვიმხელს. ღმერთს უყვარს წუთისოფელი, ღმერთს უყვარს თავისი მტრებიც, თუნდაც მეამბოხენი. მისი სიყვარული ხორცშესხმულია - ეს იესოა, მხოლოდშობილი ძე, ჩვენს შორის მყოფი: ის ერთადერთია, ვისშიაც მამის მთელი სიცოცხლე განსხეულდა .

20 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

2023 ხუთშაბათი

საქ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ზეციდან მომავალი კი
ყველაზე მაღლაა იო 3,31

მაღლიდან მოდის ის, ვინც ზეციდან ეშვება; მაღლიდან მოდის, ის ვინც ჯვარს აცვეს. არავინაა მასზე დიდი, ვინც ღმრთისაგან მოდის და არავინაა მასზე დიდი, ვინც სიცოცხლეს სწირავს სიყვარულის გულისთვის.

21 აპრილი

2023

პასექის II კვირა [II], თ

წმ. ანსელმი, ეპ. და ეკდ. მოძღ. +1109

პარასკევი

საქ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

იხილეს სასწაულები, რომლებსაც
ის ახდენდა სნეულებზე იო 6,2

მეც ვხედავ, უფალო იესო, რაოდენ
გიყვარს გასაჭირში მყოფნი. ამას ძლი-
ერ ვგრძნობ მაშინ, როცა შენზე არიან
მონდობილნი და შენგან იღებენ ნუგეშს,
შვებას და სიხარულს; როცა ხვდებიან,
რომ მრავალთა გადასარჩენად, მათი
ტანჯვა შეიძლება შენს ტანჯვას შეუერ-
თდეს.

22 აპრილი

2023

პასექის II კვირა [II], თ

შაბათი

საქ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

ნავი მაშინვე იმ ნაჯირს შეეხო,
სადაც მიდიოდნენ იო 6,21

იესო, ყველაფერი სისრულეშია შენი მიღების ჟამს. ყველა სატკივარი მსუბუქდება, რასაც ხელს ჰკიდებ. შენი არსებობა ჭეშმარიტად გვიხსნის: მადლობა, იესო. წამოდი დღეს ჩემთან; შემოდი ჩემს ოჯახში, შემოდი ჩემს სამრევლოში და ჩემს ქალაქში: მოდი იესო!

23 აპრილი 2023

პასექის III კვირადღე, «ა», [III], თ

ᲙᲕᲘᲠᲐ

საქ 2,14.22-33; ფს 15; 1პეტ 1,17-21; ლკ 24,13-35

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

მაგრამ თვალები დაბმული ჰქონდათ და ვერ იცნეს იგი ლკ 24,16

იესო, ნუთუ აღმდგარი, ისევ შენ იყავი? რად ვერ გიცნეს შენმა მოწაფეებმა? ეს მართლაც საიდუმლოა, უზადოდ ლამაზი საიდუმლო, რომ უცხოდ წარსდექი. შენ არ გინდა, რომ იძულებით გირწმუნოთ, არამედ სრულიად თავისუფლად რომ გირწმუნოთ და შეგიყვაროთ. მოაშორე ჩემს თვალებს ის ლაქა ან ის დირე, რამაც მზერა დამიბინდა.

24 აპრილი

2023

პასექის III კვირა [III], თ

წმ. ფიდეე სიგმაჰინგენელი, ხუც. წამ. +1622

ორშაბათი

საქ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება სათუკუნო სიცოცხლისათვის იო 6,27

მარადიული სიცოცხლის საზრდოს შენ გვაძლევ იესო, და ეს საზრო თავად შენ ხარ. შენ ხარ მამის სიყვარული: ჩვენი ცხოვრება ღვთის მარადიული სიყვარულით, მისი სიხარულით, მისი წყალობით ივსება მაშინ, როდესაც დღენიადაგ შენით ვიკვებებით, ვითარცა პურით.

25 აპრილი

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

2023 სამშაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

ფუფალი შეეწეოდა მათ და განამტკიცებდა სიტყვას თანამდევი სასწაულებით მარ 16,20

იესო, შენ არ მიატოვებ შენს მოციქულებს, პირიქით, მუდამჟამს მათთან ხარ. როგორ ამოიცნობენ შენს ყოფნას? თნმხლები იქნები მათი სიტყვისა ნამდვილი და დიდი სასწაულით. წმინდა მარკოზი გვეუბნება, რომ ეს ყოველივე იხილა, როცა პეტრე რომში ქადაგებდა და შენს სამეფოს აუწყებდა.

26 აპრილი

2023 ოთხშაბათი

საქ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება იო 6,35

შიმშილი, რაზეც შენ ახლა საუბრობ იესო, სუფრამდე ვერ მიგვიყვანს. შენ უწყი, რომ ჩვენ სულიერი შიმშილი გვაქვს, ღრმა სურვილები, რომელთა დაპურებაც მხოლოდ შენ ძალგიძს. სრულყოფილი ძღვენის - მამის სიყვარულის მონიჭება მხოლოდ შენ ძალგიძს. მადლობა, რამეთუ შეგვიძლია შენამდე მოსვლა!

27 აპრილი

2023

პასექის III კვირა [III], თ

ხუთშაბათი

საქ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

მე ცოცხალი ჰური ვარ,
ზეციდან გადმომავალი იო 6,51

იესო, შენ კვლავ პურზე გვესაუბრები ანუ მასზე, რაც ჩვენში ღმრთაებრივ, წმიდა, ჭეშმარიტ და სიხარულით სავსე ცხოვრებას ასაზრდოებს. შენა ხარ ჩვენი ცხოვრების საკვები. შენ აპურებ ჩვენი სიყვარულის, პატიების, მოთმინების, სიხარულის უნარს. მადლობა ამისათვის, იესო!

28 აპრილი

2023

პასექის III კვირა [III], თ

წმ. ღუი მახი გრინიონ დე მონფორტი, ხუც. +1716;
წმ. პეტრე მანელი, ხუც. და წამ. +1841;
წმ. ჯანა ბერეტა მოღა +1962

პარასკევი

საქ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემით იო 6,57

უფალო იესო, როცა შენს პურს ვჭამ, შენით ვიკვებები და შენი წყალობით, ჩემი ცხოვრება ჭეშმარიტ და წმინდა სახეს იძენს. მადლიერი ვარ შენი და გთხოვ, ისე ძლიერ აღიძროდე ჩემს აზრებში, მოქმედებებში და სურვილებში, რომ მუდამ შენ გითმობდე ადგილს.

29 აპრილი

2023

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ. მოძღვ., ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

შაბათი

1იო 1,5 – 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

მოდით ჩემთან, ყოველნო
მაშვრალნო და ტვირთმძიმენო,
და მე მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

უფალო იესო, ხალისით მოვეშურები
შენკენ ჩემს მოყვასებთან ერთად. შენი
შუქი, შენი მშვიდობა, შენი სიბრძნე,
შენი გულმოწყალება გვჭირდება. შენი
აღდგომა ჩვენთვის ახალი და წმინდა
სიცოცხლის დასაწყისია. იმ სიმტკიცით
და გამბედაობით მოვდივართ შენთან,
როგორც ჩვენი მფარველი წმინდანი
ეკატერინე მოეშურებოდა!

30 აპრილი

პასექის IV კვირადღე, «ა», [IV], თ

2023 ჯვირა

საქ 2,14.36-41; ფს 22; 1პეტ 2,20-25; იო 10,1-10

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

მე ვარ კარი იო 10,9

მადლობა, იესო, ყოველი იმ სურათ-ხატისთვის, რითაც საკუთარ თავს შეგვაცნობ და ჩვენში სიყვარულს აძღრავ. შენ ხარ კარი, რომლის გავლით მამის გულში შევაღწევთ; შენ ხარ კარი, რომელიც იღება ჩვენი ძმების შეცნობის და სიყვარულის მიზნით; შენ ხარ კარი, რომელიც იხურება სხვადასხვა ცდუნების წინ; შენ ხარ კარი, რომელიც, არც ღია და არც დახურული, არასოდეს გაგვაცურებს.